№ 75

1877—1895

ოთხშაბათი, 12 აპრილი 1895

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 75

ოთხშაბათი, 12 აპრილი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა 7 მ ა ი ს ს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნ ი ვ თ ე ბ ი გაუგზავნოს **ქნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 12 აპრილს,

ქართულის არტისტების ამხანაგობისაგან

წარმოდგენილი იქნება

**ვ. ს. ალექსეევ-მესხიევის**

სასარგებლოდ

## ყაჩაღები

დრამა 5 მოქმ. შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.

ადგილების ფასი მომატებულია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ადმინისტრატორი: ვ. გუნია. რეჟისორი: ვლ. ალექსეევ-მესხიევი.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

სურათებიანი ვეფხის ტყაოსანი, გამოცემული გ. ქართველიშვილის მიერ 10 მანეთად.

საქართველოს ისტორია ვახუშტი ბატონიშვილისა, გამოცემული დ. ბაქრაძის რედაქციით გ. ქართველიშვილის მიერ 2 მან., ტფილისს გარეშე დამბარებელმა წიგნის ფასთან უნდა გასაგზავნის ხარჯის ფულიც გამოგზავნონ.

(10—6.—9)

ქართული თეატრი

საქველ-მოქმედო წარმოდგენა, დანიშნული ოთხშაბათს 17 მარტისათვის

გადაიდო

ოთხშაბათისათვის 19 აპრილს.

წარმოდგენილი იქნება

## დანაშაული და სასჯელი

დრამა 5 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

## ახალი ამბავი

—

*** კვირას, 9 აპრილს, კერძო კრება ჰქონდათ ტფილისის საქალაქო საბჭოს ხმოსნებს, რიცხვით 15-დის. ამ კრებაზედ ქალაქის მოურავის არჩევნებზედ ჰქონდათ ლაპარაკი. კანდიდატებად ასახელებდნენ ო. კ. ა. ბებუთოვს, ა. ს. მატინოვს და თავ. ნ. ვ. არღუთინსკი—დოლგორუკს.

*** გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ნამდვილის წყაროებიდგან შეუტყვია, რომ კახეთის რკინის გზის გაკეთების საქმე უკვე გარდაწყვეტილა და სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში აღნიშნულია კიდეც რამოდენიმე თანხა მუშაობის დაწყებისათვის, მაგრამ ამ გზის გაკეთებას მერმისამდის ვერ შეუდგებიან, რადგანაც ჯერ საკმაო თავისუფალი თანხა არ არის.

*** კავკასიის ლაშქრის უფროსის სარდლის, თავადის ივანე გივის ძე ამილახვრის ქალს, ნინოს უმაღლესად ებოძა წოდება საპატიო ქალისა (ფრეილინისა)

*** როგორც გაზეთი „ნოვოე ვრემია“ იუწყება, პარასკევს, 7 აპრილს, პეტერბურგის საკრედიტო საზოგადოების დარბაზში მელიტონ ა. ბალანჩივაძეს გაუმართავს კონცერტი. კონცერტი ქართულის სიმღერებისაგან შესდგებოდა. მონაწილეობას იღებდნენ თურმე ხოროები: ქქ-ნ კარაფფისა, მუსინ-პუშკინისა და ბ.ბ. კოტონი, ვოლფ-იზრაელი, მაჩაბელი და სხვა არტისტნი.

*** ისე უპატრონოდ დაგდებული, როგორც არის გაბაშვილის ქუჩა, არც ერთი ქუჩა არ მოიძებნება ტფილისში. გარდა იმისა რომ ეს ქუჩა ქვით დაფენილი არ არის და არც წყლის სადინარი მილია გაყვანილი, ორიოდე ფარანიც არ მოიპოვება, რომ ღამე სიარულის დროს კისრის მომტვრევას ასცდეს კაცი; თუმცა ეს ქუჩა ზედ აკრავს გოლოვინისა და ოლგას ქუჩას, მაგრამ იმათი მეზობლობის ნატამალიც არ ატყვია.

ეს ქუჩა სხვაფრივაც არ არის სასურველს მდგომარეობაში, გარდა იმისა, რომ ზამთარში და ავდრის დროს ამ ქუჩაზედ სიარული ძალიან ძნელია, ცალის მხრით მცხოვრებთ აჰყუდებია ერთი უზარმაზარი გორა, რომელიც ყოველს წამს წამოქცევა-ჩამონგრევას და ქვეშ-მოტანას უქადის ახლოს მცხოვრებთ. შარშან ივნისში მოხდა ასეთი მაგალითი, რომ ვეებერთელა ზვავი მოსკდა ამ გორას, დაეცა ერთს ორ სართულიანს დიდს სახლს და სულ ერთიანად მიწასთან გაასწორა.

კიდევ კარგი, რომ ზაფხულის სიცხის გამო არც ერთი მდგმური არ იყო სახლში იმ საღამოს, სასეირნოდ იყვნენ წასულნი და ამით ასცდნენ საზარელის სახით სიკვდილს, თორემ თქვენს მტერს, რაც იქ უბედურება მოხდებოდა!..

ქალაქის არხიტექტორმა მაშინვე გასინჯა ეს დალეწილი სახლი და დაადგინა განაჩენი, რომ ეს გორა დიდად საშიშია ყველა ახლო-მახლო მცხოვრებთა შენობებისთვისაო.

ეხლა, თითქმის ერთი წელიწადია მას აქეთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი განკარგულება არ მომხდარა ამის შესახებ. საკვირველია ქალაქის გამგეობის საქმე: ის დალოცვილები იმას-კი გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს, რომ სახლის პატრონებმა საქალაქო გარდასახადი თავ-თავისს დროზედ შეიტანონ, სადაც ჯერ-არს და იმას-კი აღარ ჰფიქრობენ, რომ თითონაც ქალაქის სამმართველო ვალდებულია მცხოვრებნი დაიცვას სახიფათო მოვლენისაგან.

დარწმუნებულნი ვართ, თუ ეხლაც უყურადღებოდ დასტოვა ქალაქმა ეს ქუჩა, ბევრს სულს იმსხვერპლებს, როგორც ავდრისაგან ჩამოწოლილი ზვავი, ისედაც სხვა-გვარი უვარგისობა გაბაშვილის ქუჩისა...

*** განჯა: მაშინისტის თანაშემწე იგნატი რამელმა გუშინ-წინ, ნაშუადღევის 4 საათზედ, თავი მოიკლა. მიზეზად სულით ავადმყოფობას ასახელებენ.

---

## ფელეტონი

—

### მშვლის ნუკრი.

—

მე მინახავს მშველის ნუკრი
დაკოდილი ევდო ველად,
ტყვიას გული გაეგმირა,
ილვრებოდა ცხარე ცრემლად,

ყორანნი თავს დასჩხაოდნენ,
სვავთ ყიალი სძრავდა ჰაერს
და ის სისხლით ნელ-ნელ რწყავდა
მწვანილოვანს არე-მარეს.

საცოდავი სიმწარისგან
მიწას ჰგლეჯდა კბილთა ღრჭენით,
მის თვალები გამოსთქმიდნენ,
რაც ვერ ეთქვა უტყვის ენით.....

ვნახე და აწ მომაგონდა
ალვსებული ტანჯვით გული:
სწყევლის ბედსა, ებრძვის ხვედრსა
სევდისაგან გაგმირული!

ი. ევდოშვილი.

### პასუხი „კვალის“ რედაქტორს.

„კვალის“ მე-10 №-ში გამოვიდა უსახელო მცირე შენიშვნა, ჩემ (ვ. წ.) წინააღმდეგ მომართული. ეს შენიშვნა ცილის-წამებაზეა აშენებული. კახეთში სასოფლო ბანკები ნუ გაიხსნება-მეთქი, მე არ მითქვამს, ტყუილად მწამებთ. თუ ვსტყუი, ამოსწერეთ ჩემი წერილიდგან ერთი ციტატი მაინც, თქვენი გამამართლებელი: გლეხებს ბანკიდგან ფული ნუ მიეცემა თავის დაგირავებულ ადგილების გამოსახსნელადაო, ამას მხოლოდ ბრიყვი იტყოდა. მაგრამ ამგვარი ბანკი სულ სხვა ტიპისა არის, ვიდრე ის' რომლის შესახებაც ბ-ნი გ. წერეთელი ლაპარაკობდა თავისს პროგრამმაში. როდესაც თქვენ ერთმანერთში ურევთ ყველაფერს, ჩვენი რა ბრალია. ბ. გ. წერეთელს პანაცეად ყოველთა უბედურებათაგან ეგრედ წოდებული „იაფი“ კრედიტი მიაჩნია, რომელიც მხოლოდ მცირე-სარგებლიან სესხს მიაწოდებს წვრილ მემამულეებს. ამგვარი ტიპის ბანკებს ჰქვიან რუსეთში შემნახველ-გამსესხებელი კასსები. ეს კასსები სრულიად არ ჰკითხულობენ, როგორ ხმარობენ, რაში ხარჯავენ გლეხები გატანილს სესხს, მათი საქმეა მხოლოდ სესხის გაცემა და ვალის გადახდევინება. აი ამგვარი ბანკები ჰქონდა ბ-ნ გ. წერეთელს სახეში, როდესაც ლაპარაკობდა „იაფ კრედიტზედ“, აგრეთვე უწოდებენ ამგვარს ბანკებს საეკონომიო ლიტერატურაში.

საზოგადოდ, არევ-დარევა თუნდ ტერმინებისა ამგვარს საქმეში ძლიერ მავნებლად მიგვაჩნია, რადგან ტერმინების არევას თვით აზრების არევაც მოჰყვება ხოლმე. ხსენებულ ტიპის კრედიტისაგან ძლიერ განირჩევა სამელიორაციო კრედიტი. ჯერ ერთი, ზემოდ-აღნიშნული კრედიტი უნდა იყოს წვრილი, გლეხის წვრილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი, სამელიორაციო-კი უმეტეს ნაწილად დიდ სესხს იძლევინება ხოლმე, დიდის სამიწათ-მოქმედო ოპერაციებისათვის. მეორე, პირველი ტიპის ბანკები იმის გამოძიებაში სრულიად არ შედიან, რა მოთხოვნილებას მოხმარდება მათგან გატანილი ფულები, მეორე ტიპისა-კი ფულს მხოლოდ ამა თუ იმ მიზნისათვის იძლევნებიან, იმათ აქვთ სახეში მიწათ-მოქმედების გაუმჯობესება.

ერთმანერთში შერევა ამ ორის ტიპის ბანკებისა მიუტევებელი ცოდვაა, რადგან სოფლელის ბედ-იღბალზედ ისინი სულ სხვა-და-სხვა გვარად მოქმედებენ.

არის რუსეთში ერთგვარი საგლეხო ბანკი, რომელსაც შუა ალაგი უჭირავს ამ ორ ტიპს შორის. ეს ბანკი აძლევს გლეხს ფულს ადგილის შესაძენად. ამ გვარად მისი მიზანი განსაზღვრულია, როგორც სამელიორაციო ბანკისა, მაგრამ თვითოეულს გლეხს ძლიერ მცირე სესხს აწოდებს და ამით პირველის ტიპის ბანკს მიემზგავსება.

რუსეთში აქამომდე როგორც შემნახველ-გამსესხებელმა კასსებმა, აგრეთვე უკანასკნელის ტიპის საგლეხო ბანკებმა ერთობ ცუდად ჩაიარეს. მათ თავისს კლიენტების უმეტესობა მხოლოდ ვალით აავსეს და სარგებლობა-კი ვერა მოუტანეს-რა მათ. ამ ბანკების ფული გამოიყენეს მხოლოდ სოფლის მდიდრებმა. საგლეხო ბანკების ისტორია რუსეთში სწორედ რომ მარტიროლოგიაა. უმეტესი ნაწილი გლეხობისა, ამ ბანკების ფულით სხვაგან გადასახლებულისა, გაწყდა, დაიხოცა. განსაცდელს გადურჩნენ მხოლოდ მდიდრები. როცა მოცალება ნებას მომცემს, ვეცდები, სრული სურათი წარმოუვუდგინო ჩემს მკითხველს ხსენებულის ბანკის მოქმედებისა რუსეთში.

მკითხველი იკითხავს, რად უნდა დახოცილიყვნენ ისინი, რომელთაც ბანკიდგან მცირეოდენი დახმარება მაინც მიიღეს ადგილის შესაძენადაო. ადვილი ასახსნელია მათის დახოცვის მიზეზი სწორედ ეს დახმარების სიმცირე იყო. გლეხი სტოვებდა თავისს ძველ სახლ-კარს, ძველს მოწყობილებას, ესახლებოდა სხვაგან და ამ ახალს ალაგზედაც-კი იგივე ადგილ-მამულის სიმცირე ხვდებოდა და უსახლ-კარო კიდევ ზედ-მეტი. კარგად მოგეხსენებათ, რომ ახალი მოსახლობა ჯერ თავისს სოფელშიაც ძალიან უჭირს კაცს. ამ გვარად, წვრილმა კრედიტმა ხალხი გაიტყუა, გაიტაცა და მერე დაღუპა. რატომ სხვაგან ესახლებოდნენ გლეხები, რატომ თავისს სოფელშივე არ იძენდნენ ადგილ-მამულსა? სიძვირის გამო.

დიაღ, წვრილი კრედიტი, რაც უნდა იაფი იყოს, უთუოდ დაავალიანებს ხალხს ჯერ დაუვალიანებელს. რასაკვირველია, რომ ხალხი ბოლოს და ბოლოს, უკრედიტოდაც დავალიანდება, მაგრამ კრედიტი უფრო მალე იზამს, მოასწრაფებს იმ პროცესს, რომელიც ისეც ხდება. მიზეზები ამისი არიან თვით კრედიტის სიწვრილე, რომელიც ნებას არ აძლევს გლეხს გააუმჯობესოს თავისი წარმოება, მისი (გლეხის) სიღარიბე და საქვეყნო კონკურენცია.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ მე ცოტად თუ ბევრად სასარგებლოდ მიმაჩნია ისეთის ბანკების დაარსება, რომელთაც განსაკუთრებულ მიზნად ექმნებათ გამოიხსნან გლეხების დაგირავებული მამულები. როცა ამ მიზანს არ ასცილდებიან, ბანკები ძლიერ შეღავათს მისცემენ გლეხებს; როცა ასცილდებიან, მაშინ-კი რა მოგახსენოთ! მამულების გამოხსნა ბანკის საშუალებით ეს მხოლოდ საშეღავათო კონვერსია იქნება გლეხებისათვის, რადგან დიდი სარგებლის მაგიერ მცირე სარგებელს გადიხდიან. ეს საქმე მით უფრო სასარგებლო იქნება, რომ რამდენიმე ნაწილი ბანკების შემოსავლისა შეიძლება სოფლის სხვა-და-სხვა სულიერსა და ზნეობრივს მოთხოვნილებას მოჰხმარდეს. მაგრამ ამგვარი ბანკები მოგვაგონებენ ჩვენ, ერთის მხრით, სამელიორაციო ბანკებს და სრულიადაც არ ემზგავსებიან შემნახველ-გამსესხებელ ტიპისას.

კიდევ უფრო სასარგებლო იქნებიან სამელიორაციო ბანკები, რომელთა შემწეობით შესაძლებელი იქნება სარწყავი არხების გაყვანა, ტბიანჭაობიან ადგილების დაშრობა, დრენაჟი, ტყის გაშენება, სახნავ-სათესის გაუმჯობესება და სხ. და სხ. ამგვარი სამიწათ-მომქმედო ოპერაციები ყველას მდგომარეობას გააუმჯობესებს, როგორც დიდ მემამულისას, აგრეთვე წვრილისას.

## ქალაქის საბჭო.

—

ორშაბათი, 10 აპრილი.

განსაკუთრებითი საყურადღებო საგანი, რომელიც უნდა განეხილა ორშაბათის კრებაზედ ქალაქის საბჭოს, ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა იყო. საბჭომ ამას წინად ამის შესახებ კომისია ამოირჩია ხმოსანთაგან და იმას მიანდო ამ საქმის გამორკვევა. კომისიამ მოხსენება შეიტანა, გამგეობამ ამ მოხსენების შესახებ ის აზრი წარმოადგინა, რომ კომისიამ არ გვიჩვენა, სასარგებლოა თუ არა გამოსყიდვა ცხენის რკინის გზისა და ამიტომ ეს მოხსენება არაფერს მასალას არ გვაძლევსო. ჩვენის ხელ-შეკრულობით მე-15 §-ის ძალით, ქალაქმა თუ მოიწადინა ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა ერთის წლით ადრე უნდა შეატყობინოს გზის მმართველობას თავისი სურვილიო. ამიტომ კომისია უნდა ავირჩიოთ იურისტთაგან და მივანდოთ, იმათ გადასწყვიტონ, სავალდებულოა თუ არა ქალაქისათვის ერთის წლის განმავლობაში გამოსყიდვა გზისა, რაკი განუცხადებს ცხენის რკინის გზის მმართველობას სურვილს გამოსყიდვისასაო. ამას გარდა, იმავე კომისიას უნდა დავუბრუნოთ თავისი მოხსენება, რომ შეავსონ ცნობებით და დაგვანახვონ გამოსყიდვის სარგებლობა ქალაქისათვისაო.

**შახ-აზიზოვი.** მე ცალკე აზრისა ვარ. ჩემის აზრით, ძალიან სასარგებლო იქნება, რომ რკინის გზა ჩვენ გამოვისყიდოთ.

**ა. ა. ივანენკო.** საბუთი, საბუთი გვინდა.

**შაჰ-აზიზოვი.** ნუ მაწყვეტინებთ. (სიცილი გაისმის). საბუთი რად გვინდა, როდესაც ყველასათვის აშკარაა. მე არ მესმის, ჩვენ რაღად უნდა დავიბრუნოთ მოხსენება, როდესაც ვერავითარს საბუთებს ვერ წარმოგიდგენთ. მმართველობა გზისა ტყუილს ანგარიშებსა ჰბეჭდავს და დაბეჭდილს არ დაეჯერება, ნამდვილის საქმის წარმოების გასინჯვის ნება არა გვაქვს. რაც შეეხება იურისტთაკომისიას, მე წინააღმდეგი არა მაქვს-რა, მხოლოდ ერთი მაკვირვებს, როგორ მოხდა, ისეთი ხელ-შეკრულობა, პირობა როგორ დასწერეს, რომ ეხლა ასახსნელი და გამოსარკვევი ხდება. ხმოსანი ა. ს. მატინოვი მაშინ ქალაქის მოურავად იყო და იქნება მაგან აგვიხსნას.

**ა. ს. მატინოვი.** (ცხარედ). პირობა რუსულად არის დაწერილი და ისე უნდა გაიგოთ, როგორც დაწერილია.

**ხმ. ყვანგულოვი.** მეც იმ აზრისა ვარ, რომ კარგი იქნება გამოვისყიდოთ ეგ გზა, მაგრამ ჯერ-კი სჯობს, გამგეობამ გვირჩიოს და ამიტომ ეგ მოხსენება ისევ იმავ კომისიას დავუბრუნოთ შესავსებლად.

**ხმ. ა. ს. ბაბოვი.** მოხსენება გარდაეცეს იურისტთა კომისიას და არა ისევ ძველსავე კომისიას. რაც შეეხება ხელ-შეკრულობას, სწორედ დანაშაული ჩაუდენიათ იმათ, ვისაც ხელი უწერია ამ მოხსენებაზედ. ციფრებით შევსება მოხსენებისა ძნელია, რადგან მმართველობის ანგარიშში ყალბი ციფრებია ნაჩვენები. ერთის სიტყვით, საჭიროა საჩქაროდ გამოვისყიდოთ ეს გზა, თორემ თუ საბჭო ამას არ დაადგენს, დიდს დანაშაულს ჩაიდენს.

**ა. იოანესსიანი.** საკვირველია, რა ადვილად ვიცით ხოლმე ყველას ბრალდება და გამტყუნება. ამით საბჭოს აშინებენ, თუ რა ამბავია? ჩემის აზრით, დანაშაულს მაშინ ჩავიდენთ, რომ დავადგინოთ—გამოვისყიდოთ გზაო, და კარგად-კი არა გვქონდეს გათვალისწინებული საქმის ავ-კარგიანობა. მოხსენება არ ვარგა, უნდა შეივსოს.

ზოგიერთი ხმოსნები იმ აზრისანი არიან, რომ ხმოსან იურისტებს ვსთხოვოთ გამოსთქვან თავისი აზრიო.

**ხმ. ოზოხინინი.** ეგ ადგილი ხელ-შეკრულობისა ჩემთვის ნათელია, მაგრამ ვერას ვიტყვი, რადგან ჩემის ხელით არის დაწერილი. სიცილი გაისმის.

**ხმ. ა. ს. მატინოვი.** მეც ვერას ვიტყვი, რადგანაც მაშინ საზღვარ-გარეთ ვიყავი...

**ა. ს. ბაბოვი.** საზღვარ-გარეთ თუ იყავით, ის როგორ მოხდა, რომ ხელი გიწერიათ პირობაზედ?

**მ. მ. ხოსროევი.** (გაწიწმატებით), ხმოსანი ბაბოვი მარტო ჩხირ-კედელაობას მოსდომებია იმის მაგიერ, რომ საქმე გაეკეთებინა და მოხსენება შეევსო საბუთებით. მაგათი შრომა იმისთანა საქმისათვის მოუნდომებიათ, რასაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საქმისათვის.

**ა. ს. ბაბოვი.** ვსთხოვ გამგეობის წევრს თავისს სიტყვებზედ უარი განაცხადოს: მე და კომისსია სწორედ საქმეს ვაკეთებდით. იქნება ეგ არ აკეთებდა არაფერს ოცის წლის განმავლობაში. (გაისმის ზარის ხმა, ხმაურობაა).

დასასრულ საბჭომ დაადგინა მოხსენება გარდაეცეს ქალაქის გამგეობასა და ცხენის რკინის გზის ზედამხედველს შეერთებულს კომისიას შესავსებლად.

დანარჩენი საქმეები გადაიდო.

## კორესპონდენცია.

—

**ს. მარტვილი,** (სამეგრელო): გაზეთებში ხშირად ვკითხულობთ, რომ საქართველოს ყველა კუთხეში დაარსებულია და აარსებენ ბიბლიოთეკებს და სამკითხველოებს, ხოლო საუბედუროდ მარტვილელები-კი ჯერ ყურებსაც არ იბერტყავენ და ფიქრადაც არ მოსდით სამკითხველოს დაარსების შესახებ რამე იფიქრონ. ს. მარტვილი შეიცავს დიდს საზოგადოებას და აგრეთვე შიგ შუაგულ სოფელში დაარსებულია დაბა ნაოლაღევი, სადაც მრავალნი მოსამართლენი და მოხელენი სცხოვრობენ. სირცხვილია, რომ ასეთს დაბაში და დიდ სოფელში ერთი სამკითხველო არ არსებობდეს. თუმცა-და აქ სამკითხველოს დაარსება ადვილი იყო, მაგრამ არ აღმოჩნდა ისეთი კაცი, რომელსაც მიეღო თავის თავზედ ასეთის კეთილის საქმის გაკეთება. ეხლა ამ ბოლო დროს, საბედნიეროდ ჩვენდა, სამკითხველოს დაარსება მიიღეს თავიანთს თავზედ კნ. ეფ. ნაკაშიძისამ და ლიუბოვ გაწერელიასამ და კიდეც შეუდგნენ ასეთის კეთილის საქმის სისრულეში მოყვანას.

აქ ხარების მონასტერში გადმოყვანილ იქმნა არქიმანდრიტი მ. ამბროსი. ყველანი დიდს სიხარულში ვართ მისის აქ გადმოყვანით. როგორც სწავლა-განათლებით შემოსილი და პატიოსანი კაცი, იმედია მ. ამბროსი თანაუგრძნობს ასეთს კეთილს საქმეს, როგორიცაა სამკითხველოს დაარსება და ყოველნაირს დახმარებას აღმოუჩენს.

დასასრულ არ შემიძლიან არ ვაცნობო მკითხველებს ერთი ჩვენთვის ფრიად სასიამოვნო ამბავი. ყოვლად სამღვდელო გრიგოლის მეკადინეობით, უწმიდ. სინოდის გარდაწყვეტილებისამებრ, მარტვილის მონასტერში უნდა აშენდეს სასულიერო სასწავლებლის ... [reading: საარქიელო სახლი], რომლის ასაშენებლად თორმეტი ათასი მანეთი არის დანიშნული. ტფილისიდგან მოვიდა ხუროთ-მოძღვარი და დღეს თუ ხვალ ბალავერს ჩაჰყრიან.

რაჟდენ ქალაგანიძე.

1895 წ.
4 აპრილს.

--

**სოხუმი.** 2 აპრილი. აქაურის მცხოვრებლების უმეტესობას შეადგენს ყოველი ტომის ხალხი. ვინ გინდა, აქ არ არის. მაგრამ ერთს ადგილს დიდხანს-კი თითქმის არავინა რჩება, ოღონდ ერთს ან ორს თვეს თავი როგორმე შეიფაროს და მერე, ყოვლის მიზეზის გარეშე გადასახლდებიან ხოლმე. აი, მაგალითად. თებერვალში მოვიდა ორი მოსახლე ყუბანის ოლქიდგან და ითხოვს აქ დასახლება. იმათ დოკუმენტებიდგან აღმოჩნდა, რომ ესენი ჯერ ყუბანის მაზრაში გადმოსახლებულან. აქ მათთვის მიუციათ სამოც-სამოცი დღიური ადგილი საცხოვრებლად. უცხოვრნიათ ერთს წელიწადს, მაგრამ სულ უშრომელად, თურმე მიწას არავითარი ნაყოფი არ მოუცია. წლს ზამთარში ვიღაცას უთქვამს ამათთვის, სოხუმის ოლქში ერთი მარცვალი სიმინდი რომ დასთესო ათას-ორას მარცვალს მაინც მოგცემსო. უფიქრიათ, იქ ყოფილა სამოთხეო, მიუტოვებიათ ყველაფერი, მოსულან აქ და მოელიან ამ სმოთხეში ნეტარებას. თებერვალშივე მოდის იმავე სამმართველოში რამდენიმე კაცი და სთხოვს უფროსს წასვლის ნება მისცეს, რადგანაც აქაურს ჰაერში გაძლება არ შეგვიძლიანო. აგერ წელიწად-ნახევარია, რაც აქ დავესახლენით და ლამის ყველანი გავწყდეთო. პირველ მოსვლისას ოც-დაერთი სული ვიყავით და ამ ჟამად ცამეტი-ღა დავრჩითო... ყველამ კარგად იცის, ვინ აიტანს აქაურს ჰავას და ვისაც სხვაზედ უფრო ესაპიროე-

---

მხოლოდ ერთს შემთხვევაში იქნება ხალხისთვის მავნებელი სამელიორაციო კრედიტი ეს მაშინ, როდესაც კრედიტის საშუალებით დიდი მემამულეები ისეთს მაშინებს შეიძენენ, რომ სამასის კაცის სამუშევარს ერთი კაცი დაიმუშავებს; როდესაც იგინი თავისს ადგილებში სიმინდისა და პურის მაგიერ, თუთის, ლეღვის, ბროწეულის, ბიის და სხ.-და-სხ. პლანტაციებს გააშენებენ, და როდესაც სახნავ-სათესს საბალახედ გარდააქცევენ. მაშინ სამელიორაციო კრედიტი, თუმცა სასარგებლო იქნება მათთვის, მაგრამ მავნებელი იქნება მუშა-ხალხისთვის, რომელსაც ერთი-ღა დარჩება—შიმშილით დაიხოცოს.

მაშასადამე ბანკი უნდა ეცადოს იმგვარად მიაწოდოს ხალხს ფული, რომ მავნებელი არ შეიქნეს მისთვის. რუსეთში ამ მოკლე ხანში აპირებენ სამელიორაციო ბანკების დაარსებას და, რასაკვირველია, უნდა ვეცადნეთ, რომ ეს ბანკები ჩვენდა სასარგებლოდ გამოვიყენოთ.

სასარგებლოდ მიმაჩნია აგრეთვე იაფ-ფასიანი, მაგრამ კარგი სამუშაო იარაღისა საქონლისა, თესლეულისა მიწოდება გლეხისთვის სამელიორაციო კრედიტით, რადგან სამუშაო იარაღსა და საქონელს, თესლეულობას გლეხი მაინც ყიდულობს და, ცხადია, რაც უფრო იაფად და უკეთესს იყიდის, ის აჯობებს. მაგრამ ამგვარი ოპერაცია უფრო მდიდრებისთვის იქნება სასარგებლო, ვიდრე ღარიბებისთვის, რადგან, რაც უნდა იაფი იყოს კარგი იარაღი, საქონელი და სხ., ღარიბისთვის მაინც საძნელო იქნება მათი შეძენა, თუმცა უარს არა-ვჰყოფ, მცირეოდნად ღარიბებიც გააუმჯობესებენ ამგვარად თავისს წარმოებას.

ამგვარად მხოლოდ სამელიორაციო (და იგინიც ყოველთვის არა) და გლეხების დაგირავებულ ადგილების გამომხსნელი ბანკები მიმაჩნია მე სასარგებლოდ ჩვენის ხალხისათვის, სხვა-გვარი ტიპის ბანკები-კი ჩვენშიაც იმას იზამენ, რაც სხვაგან ჰქმნეს. რუსეთში ხომ მოვიხსენე უკანასკნელთა გავლენა ხალხის ეკონომიურს მდგომარეობაზედ. იგივე დღე დააყენეს ამგვარმა ბანკებმა ბოლგარიას, როგორც სჩანს, იქაურის ფინანსთა მინისტრის ანგარიშიდგან; იქაურ სასოფლო კასსებს, მის მაგიერ, რომ ხალხს დაჰხმარებოდნენ, მთელი გლეხობა ჩარჩების ხელში ჩაუგდიათ [1]).

მაგრამ პანაცეად ყოველთა უბედურებათაგან მაინც არ შემიძლიან ჩავთვალო არც ხსენებული ტიპის ბანკები, წინააღმდეგ ბ. გ. წერეთლისა, შემდეგის მოსაზრებისა გამო.

კახელების გამოხსნა ჩარჩების ხელიდგან მხოლოდ დროებითად შეიძლება. რომ დავუბრუნოთ კიდეც გლეხებს დაგირავებული მამულები, მაინც მალე დააგირავებენ. ხომ იყო დრო, როდესაც მათი მამულები მათი იყო, მხოლოდ სად, რად დაეკარგათ? ზემოდ აღნიშნულის მიზეზების გამო, ე. ი. რადგან გლეხს იმდენი ღვინო და პური არ მოსდის, რომ მით ტანიც შეიმოსოს, გარდასახადიც გადიხადოს და თავიც გამოიკვებოს. გლეხს სიღარიბის გამო, ყოველთვის დეფიციტი აქვს, რომ დაიკმაყოფილოს თავისი უპირველესი მოთხოვნილებანი. და ამ დეფიციტის შესავსებლად ყოველთვის მზად არის ჩარჩის კაპიტალი.

რაც შეეხება დიდ სამელიორაციო საქმეებს, უცხო ქვეყნების კონკურრენცია თან-და-თან ისე ძლიერდება, რომ, რაც უნდა გავანაყოფიეროთ ჩვენი ადგილები, ჩვენი მიწათ-მოქმედების საქმე, ვგონებ, მაინც სულ უკან-და-უკან წავიდეს. საქვეყნო კონკურრენციაში იღებენ მონაწილეობას ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან: რუსეთი, ჩრდილო-ამერიკა, არგენტინა, კანადა, ინდოეთი, ავსტრალია და სხ. და სხ. და ეს კონკურრენცია განადგურებას უპირებს გერმანიისა და ინგლისის მიწათ-მფლობელობას, თუმცა ფულითა და კრედიტით როდის გავუსწორდებით ჩვენ იმათ?!. მთელს ქვეყანაზედ დრტვინვაა მიწათ-მფლობელთა და ჩვენშიკი გამოსულა პუბლიცისტი, რომელსაც წვრილი კრედიტით უნდა იხსნას ჩვენი მეურნეობა, ე. ი. არარაძსაგან შეჰქმნას რამე!? „სამწუხაროა, რომ სასაცილო არ იყოს"! თუმცა, არ უარ-ვყოფ, მელიორაცია იმგვარი, რომლის შესახებაც ზემოდ მქონდა ლაპარაკი, ჩვენთვის მაინც სასარგებლოა, რადგან, რაც უფრო მიუახლოვდება ჩვენი მწარმოებელი ძალა უცხო ქვეყნებისას, მით უმჯობესი იქნება ჩვენთვის.

ბ. გ. წერეთელი ლაპარაკობს კიდევ მწარმოებელს ამხანაგობებზედ და ჰგონია, რომ უებარი წამალი აღმოაჩინა საქართველოს გაბედნიერებისათვის. მაგრამ ტყუილად ფიქრობს ბ. გ. წერეთელი, რომ ამერიკა იმას აღმოეჩინოს. მწარმოებელი ამხანაგობანი დიდი ხნის საქმეა. და ახლა ევროპაში, სადაც მიიხედ-მოიხედავთ, ხომ ყველგან დაინახავთ ამგვარს ამხანაგობებს და ვინ იცის, როდის გვეღირსება ჩვენ იმათებური ორგანიზაცია, ცოდნა, კაპიტალი, ბაზარი? რადგან ახლანდელს დროში ყველაზედ უფრო დიდი მნიშვნელობა ბაზარსა აქვს, შევადაროთ ამ მხრივ რუსეთი გერმანიას, საფრანგეთს და ინგლისს. რუსეთში ერთ სოფლის მცხოვრებზედ მოდის 1, 16 ქალაქელი, საფრანგეთში ერთზედ 1,06-ი და ინგლისში ერთზედ ხუთი. ეს მცხოვრებლების რიცხვი. ახლა სიმდიდრე თქვით მათის ქალაქებისა! ერთი სიტყვით, ევროპის სოფლებს რომ ბაზარი აქვთ, იმგვარს ჩვენ ჩვენს დღეში ვერ ვეღირსებით. ამიტომ იმათ უფრო ძვირად შეუძლიანთ გაყიდონ ქათამი, ინდოური და სხ., რძე, ყველი, ხილი, მწვანილი, თესლი და სხ. და სხ, ამიტომაც უკეთ ცხოვრობენ იგინი ჩვენზედ და უფრო დიდია მათი მოთხოვნილებაც. მაგრამ მიუხედავად ამისა გერმანიის სოფლის მცხოვრებთა შორის მხოლოდ 28$^0/_0$-სა აქვს დამოუკიდებელი მეურნეობა და მთელი 72$^0/_0$-კი ქირის-მუშები არიან! ავიღოთ საფრანგეთი. რაღა იქნება იმისთანა დალოცვილი და კურთხეული ქვეყანა. სხვა არა იყოს-რა, ავიღოთ მარტო მისი ღვინოები. და რაღა იქნება უკეთესი ბაზარი, რომ ამ ღვინოებსა აქვთ. ჯერ თვით საფრანგეთის მდიდარი ქალაქები; იქვე გერმანია; იქვე ინგლისი! და მერე მთელი ქვეყანა. მიუხედავად ამისა საფრანგეთის სოფელთა შორის მხოლოდ 67$^0/_0$-ია დამოუკიდებელი მემამულე და დანარჩენი 33$^0/_0$-ი-კი უმიწა-წყლო, ქირით მრჩენელი თავისა.

ამხანაგობათა დაარსება ჩვენში შეუძლებელი არ არის. მაგრამ ამ ამხანაგობებით მხოლოდ უმცირესობა ისარგებლებს. მიზეზი ამისი სულ უბრალო იქნება. 1) მდიდარი ამხანაგობები არ შეირევენ ღარიბს წევრებს. 2) როცა რომელიმე ამხანაგობის საქმე კარგად წავა, ღარიბი წევრების პაებს მდიდრები შეიძენენ. ამგვარად ვერც ამხანაგობანი იხსნიან ჩვენს ერს განსაცდელისაგან,

მაშ რა უნდა იყოს ინტელლიგენციის მოვალეობა? რასაკვირველია, ჩვენ უნდა აღმოვუჩინოთ ჩვენს ერს ნივთიერი დახმარება ყველგან, სადაცკი შეიძლება, რაც უნდა პალლიატიური იყოს ეს დახმარება. მაგრამ უმთავრესი ჩვენი ვალი ის არის, რომ ავუხილოთ ერს თვალები, ავუხსნათ მას მისი მდგომარეობა, მივცეთ მას ცნობიერება, მოვამზადოთ იგი მომავალისათვის!

ვ. წ.

[1]) „Русскія Вѣдомости", 15 Декабря, 1894.

ბა მიწა. ამაზედ ჩვენც ბევრჯელ გვითქვამს ხოლმე და ამ ჟამად გამეორებაც აღარ ღირს.

დღეს, ბრწყინვალე აღდგომას, როდესაც ყოველი ქრისტიანე თანასწორად ხარობენ და ყველა მიდის შუა ღამისას ეკკლესიისაკენ, მხოლოდ ჩვენ ქართველები გულნატკენნი გამოვედით ეკკლესიიდგან. რადა? თქმაც-კი მეძნელება, მაგრამ შენც უნდა გაიზიარო, მკითხველო, ჩვენი გულის დარდი. აი საქმე რაში იყო: იმ დროს, როდესაც აღდგომის სახარება უნდა წაეკითხათ, გამობრძანდნენ ყოვლად სამღვდელო, მღვდლები, დადგნენს თავიანთს ადგილზედ და დაიწყეს სახარების კითხვა. ერთმა რიგმა წაიკითხა ბერძნულად, სლავურად და ლათინურად მეორე რიგმა ისევ იმ წესით. ვიყურეთ, ვიყურეთ და ისე გათავდა სახარების კითხვა, რომ ერთი ქართული სიტყვაც არ გაგვიგონია. საკვირველია, ღმერთმანი, ეს ამ ამბავი. სოხუმში თითქმის ორი მესამედი მცხოვრებლებისა ქართველები არიან და წლიდგან წლამდის ერთხელაც არ ესმის ქართული წირვა-ლოცვა.

ჩვენ გვიამბეს, რომ აქაურს ქართველებს განუზრახავთ საკუთარის ეკკლესიის აგება, სადაც მუდამ ქართული წირვა-ლოცვა იქნებაო. ეჭვი არ არის ამ ქრისტიანულსა და სასარგებლო საქმეს ადგილობრივი სასულიერო მთავრობა ხელს შეუწყობს.

გადამთელი.

—

**ს. ვეჯინი, 7 აპრილს.** წუხელ საშინელი მკვლელობა მოხდა ჩვენს სოფელში. ბოროტ-განმზრახველთ კარები შეუმტვრიეს და შეუცვივდნენ სახლში მღვდელს ქრისტესია ასათიანს, რომელიც მეზობლების მოშორებით, ხევის პირად, მარტოდ-მარტო სცხოვრობდა. მამა ასათიანი ამ უკანასკნელს ხანს ძლიერ ავადმყოფობდა, ლოგინად იყო ჩავარდნილი. ავაზაკებმა არ შეიბრალეს ჭაღარა მღვდელი და ბასრის ხანჯლით ყელი გამოსჭრეს. შემდეგ შესდგომიან სკივრებისა და ქვეშაგების გადმოშლას. ეს საზარელი მკვლელობა იმ ღამეს ვერავინ შეიტყო, მხოლოდ მეორე დღეს, როცა კარგად გათენდა, პატარა ყმაწვილი შესულა მასთან ცეცხლის ასანთებად და, რა დაუნახავს საშინელი სურათი, მეზობლებისთვისაც შეუტყობინებია. ამ საზიზღარმა მკვლელობამ ფეხზედ დააყენა მთელი სოფელი.

მამა ქრისტესია კურს შესრულებული სემინარიელი იყო; დიდი ხანი იყო მღვდლად ს. ვეჯინის კვირაცხოვლის ეკკლესიაში; უცოლშვილო იყო და კარგის სამსახურისათვის თვისის მმართველობისაგან ბევრჯელ დაჯილდოვებული. უკანასკნელს დროს ბლაღოჩინის თანაშემწე იყო; ჰყვანდა ფუტკარი და შეძლებელ მღვდლად ითვლებოდა.

თუმცა ნათქვამია, რომ „მკვდრებზედ კარგს თუ არა, ცუდს მაინც ნუ იტყვიო“; მაგრამ არ შეიძლება არა ვსთქვა, რომ მამა ასათიანი ძლიერ ხელ-მოჭერილად სცხოვრობდა, ასე რომ ავადმყოფობის დროსაც-კი არა ჰყავდა სახლში მოსამსახურე, რომელსაც შესძლებოდა მისთვის თვალ-ყური ეგდო და ეპატრონა, ეყარაულა მისთვის. ესევე ხელ-მოჭერით ცხოვრება იყო იმისი მიზეზიც, რომ მას მდიდრის სახელი ჰქონდა მოპოვებული და უეჭველია, ამ სიმდიდრის ხელში ჩაგდების სურვილმა ჩაადენინა მკვლელებს ეს მხეცური საქციელი.

— . . . საკვირველი ბედი აქვთ ასათიანებს — საშინელის სიკვდილით იხოცებიან ისინი. ამ ოც-და-სამის წლის წინად (1872 წ.) დღეს მოკლულის მღ. ქრისტესიას მამა მღვდელი დავით ასათიანი ამავე სახლებში და იმავე იარაღით — ხანჯლით მოჰკლეს...

ბ—სო.

---

## თამარის სახელის შესახებ.

—

მეხუთე ნომერში ამ წლის „სასულიერო მახარებლისა“ დაბეჭდილი იყო წერილი დეკანოზ გ. ხელიძისა თამარის სახელის შესახებ. დეკ. ხელიძე ამტკიცებდა, რომ თამარი წმიდანად არ არის ჩარიცხული და მხოლოდ შემდეგ ამ სახელს შეუერთდა წმ. თამარ (Θамарь), რომლის მოსაგონებლად დანიშნულია აღდგომის მესამე კვირა (ნელსაცხებელი). თამარ დედოფალი წმიდანად რომ ყოფილიყო შერაცხულიო, მაშინ დარჩენილი იქნებოდა აგრეთვე საეკკლესიო საგალობელი და იგი მოხსენებული იქნებოდა წმიდათა შორისო. აი, ამ საკითხავის შესახებ მსურს გავუზიარო მკითხველს ორიოდე მოსაზრება. მოგეხსენებათ, როგორ სწარმოებდა ძველადგანვე წმიდათა შორის ჩარიცხვა. მოწამენი და პატივსაცემნი გვამნი სიცოცხლეშივე იპყრობდნენ ხალხის ყურადღებას და შემდეგ მიცვალებისა ეპისკოპოსის ნება-დართვით (მე-XIV საუკუნემდის), ანუ პაპის სურვილით დასავლეთ ეკკლესიაში წმიდათა შორის შეირიცხებოდნენ. სამი გარემოება ამტკიცებდა წმიდათა კანონიზაციას: ინიშნებოდა დღე მათ მოსაგონებლად, მათი სახელი ჩაერთვოდა ჟამნში და იწერებოდა მათი ცხოვრება და საგალობელი. ამგვარ კანონიზაციის შემდეგ წმიდათა სახელზედ აგებდნენ ეკკლესიებს და მათს ხატს სახალხო თაყვან-საცემლად გვირგვინის სხივით ასურათებდნენ. არამც თუ ჩვენში, აგრეთვე საბერძნეთში და რუსეთშიაც მე-XVI საუკუნემდის მეტად მცირე ცნობებია დარჩენილი, როგორ სწარმოებდა კანონიზაცია. მომატებულ შემთხვევაში წმიდათა შერიცხვა ძველად მდგომარეობდა იმაში, რომ ღვაწლით შემოსილის პირის მიცვალების შემდეგ მის პატივსაცემლად ინიშნებოდა წირვა, შენდებოდა ეკკლესია, მზადდებოდა ხატი, თუმცა ეპისკოპოსის განკარგულებაც არ მომხდარიყვეს, რომლის ძალითაც საქვეყნოდ ცნობილიყოს, რომ ეს და ეს ღვთის გვამი ამა-და-ამ დროს წმიდათა შორის შეირაცხაო.

მართალია, თამარ დედოფლის შესახებ არ დაგვრჩენია საეკკლესიო დადგენილება, რომ იგი შეირიცხა წმიდათა შორის, მაგრამ ამ გარემოებას არ შეუძლიან დაარღვიოს ერის გადმოცემა, რომლითაც იგი აღიარებულია წმიდანად. ან სხვა წმიდათა შესახებ სად გვაქვს აქტები, რომელნიც ამტკიცებენ მათ კანონიზაციის? ზოგნი ამ წმიდათაგანი ცნობილნი არიან ჩვენში შედგენილ საგალობლებით, ეკკლესიურ დღესასწაულით და ცხოვრება-მოქალაქობის აღწერილობით, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს წმიდათა საცნობლად, როგორც ჩვენში, ისე საბერძნეთში და რუსეთში, ხატებს ნიმბით, ანუ სხივით შემკობილს.

ჩვენ ვიცით, რომ თამარ დედოფალი სხვა მწიდა მეფეთა შორის არის დახატული სხივით ანუ ნიმბით და ეს საბუთია, რომ თამარი ძველადგანვე ყოფილა ხალხის მიერ წმიდანად ცნობილა და არა შემდეგ მის სახელის არევით Θамарь-თან დაწესებულიყოს დღესასწაული და წმიდათა შორის მოქცეული. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ საგალობელს და ცხოვრების აღწერას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გარდასაწყვეტად, იყო თუ არა რომელიმე პირი წმიდათა შორის შერაცხული, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ არსად არ ყოფილა გამორკვეული კანონი ამის შესახებ. თვით რუსეთშიაც მიტროპოლიტ მაკარის მიერ მოწვეულ კრებამდის (1547—49 წ.) არ არსებობდა გარდაწყვეტილი წესი კანონიზაციისა. რუსეთში, როგორც ჩვენში, ძველადგანვე წმიდათა შორის შეირიცხებოდა ხოლმე ის პირი, რომელიც თვისის მოღვაწეობით ემსახურებოდა რომელსამე კუთხეს ანუ პროვინციას. მაშასადამე წმიდანად შეირიცხებოდა ჯერ ადგილობრივ და მხოლოდ შემდეგ სახელი მისი ვრცელდებოდა მონასტრის, მაზრის, საერისთვოს ზღუდეს და ხდებოდნენ მთელის ერის მფარველად. აი ამიტომაც ფშავ-ხევსურეთში და სვანეთში თამარ დედოფალი წმიდანად მიაჩნიათ, თუმცა არც-კი იციან, რომ იგი მართლაც წმიდათა შორის იხატება ეკკლესიის კედლებზედ.

თუ თამარ დედოფალი ჟამნში არ იქმნა ჩაწერილი, როგორც წმიდანი, მაინც ეს გარემოება იმას არ ჰმოწმობს, რომ იგი არ იყო წმიდათა შორის შერიცხული. რუსეთში 1547 და 1549 წ. კრებებზედ მომხდარ კანონიზაციის შემდეგაც ბევრი წმიდათაგანი დარჩნენ შეუტანელნი ჟამნში (святцы, мѣсяцесловъ). ესეც უნდა გავიხსენოთ, რომ მიტროპოლიტის მაკარის კრებებისთანა რუსეთში არას დროს არც საბერძნეთში და არც დასავლეთს ევროპაში არ ყოფილან მოწვეულნი კანონიზაციის საქმისათვის. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ საქართველოში, სადაც მუდამ ჰბაძავდნენ საბერძნეთს, არ ყოფილა საგანგებო კრება წმიდათა შერიცხვის კანონების დასადგენად. მიტროპოლიტის მაკარის კრება გამოწვეული იყო იმ აზრით, რომ გაერთიანებულს რუსეთში გაევრცელებინა საერთო წმიდათა დღესასწაულიც, რადგანაც მე-XVI საუკუნემდის საუფლისწულოების არსებობის გამო, წმიდანებიც ხშირად მხოლოდ ერთს რომელსამე კუთხეს ეკუთვნოდნენ. საქართველოშიაც ზოგ-ზოგი წმიდათაგანი მხოლოდ ადგილობრივ სწამდათ და რომ ვისმე მოეწვია კრება კანონიზაციისთვის, დარწმუნებულნი ვართ, თამარ დედოფალი წმიდანად აღიარებული ფშავ-ხევსურეთში და სვანეთში, გახდებოდა წმიდანად მთელის საქართველოსთვისაც.

ა. ხ—შვილი.

---

## „მტარვალი“

ტრაგედია ლაზარაშვილისა.

(მცირე შენიშვნა)

დღეს, როდესაც ჩვენი სცენაც ვერ ასცდა სამასხაროსა და ბინძურს ვოდევილებს და მელოდრამებს, სიამოვნებით იზიდავს გაურყვნელს და აზრის მწყურვალს გონებას იმგვარი პიესა, სადაც ჰხედავ, რომ ავტორი სცდილობს აქ გაიყვანოს რამე სასარგებლო საქვეყნო აზრი. სავსე ანახრონიზმით, სავსე უმეცრებითა, როგორც ისტორიულთა ფაქტთა, აგრეთვე ჭეშმარიტებისა და სინამდვილის უვიცობითა და დაუკვირვებლობით, ტრაგედია „სამშობლო“ მხოლოდ ამითი იპყრობს ყოველის ქართველის გულს, რომ ავტორს ჰსურს ამ ტრაგედიაში გაიყვანოს აზრი ქვეყნის სიყვარულისა, ქვეყნისათვის თავის განწირვისა. ამგვარისავე მაღალის აზრების გამოსახვასა სცდილობს თავისს ტრაგედიაში ავტორი „მტარვალისა“. მართალია, აქაც ბევრია აუწონრობა, შეუთანხმებლობა, შეუწყობლობა, — თუმცა „სამშობლოს“ გადამკვეთებლის ანახრონიზმებს აქ ვერ იპოვნით, — მაგრამ აქ არის აზრი მაღალი, კეთილ-შობილური, ქვეყნის გულის გამკეთებელი, გამამხნევებელი, ძვირფასი მაგალითი ქვეყნისთვის თავის განწირვისა. აქ, გარდა იმისა, რომ არიან ისრეთი პირნი, როგორიც გიორგი და ალექსი, რომელნიც, როგორც სამშობლოში ლეონიძე და ხიმშიაშვილი, სწირავენ ქვეყანას თავს, — აქ არის ერთი რამ, რომელიც არ არის „სამშობლოში“, არც სხვა ჩვენს პიესებში. აქ არის კოლლიზია მთელი საზოგადოებისა, მთელი ხალხისა, მისი თავის განწირვა საქვეყნო საქმისათვის. თქვენ აქ ჰხედავთ შემდეგს. ჯავახეთი, ნაწილი საქართველოსი, არის მოწყვეტილი თავისს ერსა, საქართველოს და უჭირავს ოსმალოს. მეფე ირაკლისა და ოსმალთა შორის არის ომი. მეფე მიდის ოსმალოზედ. ჯავახების სული და გული არის ქართველებსა და ქართველთა მეფესთან. მეფე სთხოვს ამათ დახმარებას. ოსმალონი სთხოვენ ამათ ჯარს და ემუქრიან მთელს ხალხს, თუ არ წავლენ ისინი ოსმალოს ჯარში, ან შენიშვნენ ერთი ბეწვა ღალატს, მთლად გადასწვენ ამათს სარჩო-საცხოვრებელს, გაუმუსრავენ ცოლ-შვილს, სახლობას. ჯავახნი არიან ორს წყალს შუა ჩაცვივნულნი. ისინი თათბირობენ, რა ჰქნან: მისცენ ოსმალოს ჯარი და შეჰმართონ თავისს კანონიერს მეფეს, თავისს ხალხს ხელი, თუ გადუდგნენ ოსმალთა, გასწირონ ცოლ-შვილი, თავისი საცხოვრებელი, მისცენ ქართველებს მხარი და ეცადნენ თავის დაღწევას უცხო თემთა ბატონობისა და მტარვალობისაგან. საშინელია მდგომარეობა აქ ჯავახებისა: ერთს მხარეს გელის სრული და სამუდამო უბედურება: მუსრი ცოლშვილისა და სარჩო-საცხოვრებლისა; მეორე მხარეს სირცხვილი თავისის ხალხისა და მეფის ღალატისა, საკუთარის ხელით თავისი ტყვეთ სხვის ხელში დამკვიდრებისა. აი, აქ, ამ საშინელს კოლლიზიაში ავტორს გამოჰყავს ისრე, რომ მთელი ხალხი სწირავს თავს, ცოლ-შვილს, საცხოვრებელს და არ კისრულობს მეფისა და საკუთარის ხალხის ღალატს, თავისუფლების განწირვას. ოსმალთა ჯარად გამზადებულნი ჯავახნი, მთელის ხალხის გარდაწყვეტით, სადაც ურევიან ქალნი და კაცნი, მოხუცნი და ყრმანი, დიდნი და მცირენი, — მიდიან ღამე ჩუმად თავისი მეფისა და ხალხის მისაშველებლად: შედიან მეფე ირაკლის ჯარში, ებრძვიან თავგანწირვით ოსმალთა.

აი, ეს მაღალი და ჩვენს მწერლობაში ახალი აზრი აძლევს ბ. ლაზარაშვილის პიესას „მტარვალს“ ფასს, აძლევს ღირსებას იმის შინაარსს, აძლევს საპატიო მნიშვნელობას ქართველი კაცის გულში; უმხნევებს მსმენელს გულს, უღვიძებს ქვეყნის სიყვარულს, მისი შვენიერებისთვის თავის განწირვას. რასაკვირველია, გარჩევა და კრიტიკის სასწორით აწონვა საჭიროა ყოველი თხზულებისა. მაგრამ, როდესაც იჩვენებიან ნაკლზედ, საჭიროა უჩვენონ ის ღირსებანიც, რომელნიც ასრე ნაკლებ მოიპოვებიან ჩვენს სასცენო მწერლობაში. მით უფრო საჭიროა ამგვარი ღირსებაების ჩვენება, რომ კრიტიკამ მიაქციოს ყურადღება იმგვარს ჩვენს მწერლობას, რომელიც ავსებს ჩვენს სცენას გამყრყვნელი ვოდევილებით და სცენიდგან არშიყობისა და ტყლაშა-ტყლუშის მეტს აღარაფერს გაჩვენებს. ან არა და გიწერენ ისეთს გულის დამწყლულებელს ტრაგედიებს, სადაც ტირილით გულს გიხეთქენ, გშლიან ძარღვებში, — თითქო შენი ჯავრი სჭირდეთო, — და-კი არ გესმის, რაზედ გაღრიალეს ამდენი, რაზედ გაგიხეთქეს გული, მოგშალეს ძარღვებში, — თითქო ისრეც სატირელი და თავში საცემი ცოტა გვქონდეს და ჩვენს ძარღვებს უჭირდეთ უმიზეზოთა და უსაბუთოდაც ტირილი.

ა. ფ.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულობაში „მოსკოვის უწყებანი,“ როგორც მოსალოდნელი იყო, უმთავრესს ყურადღებას ჩინეთ-იაპონიის კავშირს აქცევენ. ცხადიაო, ამბობს მოსკოვის გაზეთი, რომ ეს კავშირი იაპონელთ მტრის მოსაგერებლად არ დასჭირებიათ, რადგანაც არც ჩინეთს, არც იაპონიას არავინ არ ემუქრება; მაშასადამე ეს კავშირი იაპონელთ იმისთვის განუზრახავთ, რომ თვით დაეცნენ თავს თავისს მეზობლებს. ეს მეზობლები არიან — რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისიო. რა მოვალეობა აწევთ ამ ევროპის სახელმწიფოებსო, კითხულობს გაზეთი?!

„ნუ თუ უნდა ვიცადოთ მანამდის, სანამ იაპონია მოისვენებს უკანასკნელ ომის შემდეგ. ნუ-თუ უნდა ვიცადოთ მანამდის, სანამ იაპონელნი ევროპის წესზე გასწვრთნიან და გაავარჯიშებენ ჩინეთის ჯარებს და ბრძოლის ველზედ გამოიყვანენ მრავალ მილიონს მომზადებულს ჯარს?! ნუ-თუ უნდა ვიცადოთ მანამდის, სანამ მონგოლნი ახალის თემურ-ლენგის წინამძღოლობით, განდევნიან აზიიდგან ევროპელთ და თავს დაესხმიან ევროპას“

დიდ დანაშაულობათ უნდა ჩაითვალოსო, განაგრძობს გაზეთი, ამგვარი ცდა. ევროპა ამით უღალატებს მომავალს თაობას, რომელთაც ძლიერ გაუჭირდებათ მონგოლთან ბრძოლა. უმჯობესი იქნება ახლავ, დაუყოვნებლივ დავამხოთ ძლევა-მოსილი იაპონია და დავაბრუნოთ მონგოლნი იმ მყუდრო სამარეში, სადაც მათ ბევრი საუკუნე უდარდელად ეძინათ. ამისი მოხერხება მხოლოდ დღეს შეიძლება, თუ ცოტა

დავიგვიანეთ, ჩვენი საქმე ხელიდგან წასულიაო.

„აღმოსავლეთის დღევანდელი მდგომარეობა მარტო რუსეთის ინტერესებისთვის-კი არ არის საშიში, არამედ მთელის ევროპისათვის. საჭიროა ეს შეიგნონ ევროპის სახელმწიფოებმა და შეერთდნენ თავის დასაცვისათვისაო.

რა საშუალებას უნდა მიჰმართოს ევროპამ, რომ მონგოლთ საშიში განზრახვა დასაწყისშივე დაამხოს? ამის შესახებ გაზეთი შემდეგს ურჩევს ევროპის სახელმწიფოებს:

თავდაპირველად ევროპამ უნდა განაცხადოს ენერგიული პროტესტი მონგოლთა შეკავშირების წინააღმდეგ. შემდეგ ევროპამ უთუოდ უნდა ათქმევინოს უარი და ხელი აღებინოს იაპონიას ჩინეთის ტერრიტორიის ნაწილზედ, რათა ამით დაშოროს ერთიერთმანეთს ჩინეთი და იაპონია. ხოლო იაპონიის ჩინეთზედ გავლენის მოსპობისათვის, ევროპის სახელმწიფოებმა უნდა შეადგინონ პროტექტორატი და საერთოდ იზრუნონ და დაიცვან ჩინეთი იაპონიისაგან“.

ევროპას ისეთი საშიში და დასაფიქრებელი საგანი აღმოუჩნდა დღეს შორეულს აღმოსავლეთშიო, აბოლოვებს წერილს გაზეთი, რომ აუცილებლად საჭიროა შეერთებული და სწრაფი მოქმედებაო.

---

# უცხოეთი

—

**ავსტრი-უნგრეთი.** ქალაქ ვენიდგან ატყობინებენ გაზეთ „ნოვოსტს“ 4 აპრილს (16): 1876 წლიდგან არა ყოფილა ავსტრი-უნგრეთში იმისთანა მიწის ძვრა, როგორიც ახლა იყო. ქ. ლეიბახში ოც-და-თვრამეტჯერ ძლიერად შეირყა მიწა. მიწის ძვრა დაიწყო კვირას 11 საათზედ და 20 წამზედ, გაგრძელდა ორშაბათ დილამდის. მატარებლის სადგური ერიანად დაინგრა. მრავალი შენობა დაზიანდა. მცხოვრებლები შიშველ-ტიტველნი თავ-ზარ დაცემულნი გარბოდნენ. ავადმყოფები საავადმყოფოებიდგან გამოიტანეს, თვით ქალაქში მოკვდა ორი, ქალაქს გარედ ოთხი.

ქ. ტრიესტში კვირას საშინელი ქარიშხალი ადგა. მცხოვრებლები ნახევრად ტიტველნი გარბოდნენ ბაღებში და გემებზედ, კედლებიდგან ცვიოდა სურათები, სარკეები და საათები.

აუწერელია შიში და ძრწოლა. მიწა შვიდჯერ შეირყა. შეშინებული ცხენები გარბოდნენ აქეთ-იქით, ბევრი შიშისაგან ქვაზედ შესცდა. თეატრში სანთლები დაქრა. ქალებს გული უღონდებოდათ, შენობები დაზიანდა. სახლის სახურავები მიჰქონდა ქარს. საზოგადოდ ზარალი დიდია. თვით ვენაში შედარებით მიწის-ძვრა სუსტი იყო. საათები გაჩერდნენ 11 ს. 20 წამზედ. ზემო სართულებში კედლებზედ სურათები, სარკეები და სხვა ნივთები ირხეოდნენ.

—

**ოსმალეთი.** ბრიტანიის დესპანი ფილიპე კერი მიწვეული იყო სტამბოლში სულთანთან, რომელმაც განაცხადა სურვილი მასთან მოლაპარაკებისა სომეხთა შესახებ. სულთანს უბრძანებია ფილიპე კერისათვის, რომ სამოც-და-ხუთს ეპისკოპოსს, რომელნიც აწ იმყოფებიან ციხეში, ვაპატივებ, ხოლო მათ მომცენ ხელწერილი, რომ ამიერიდგან კანონის წინააღმდეგ აღარ მოიქცევიან და თუ პატრიარქიც მომცემს სიტყვას, რომ ეს ეპისკოპოსნი აღარ იქნებიან მის-მიერ დანიშნულნი უწინდელს ეპარქიებში. დესპანს ამაზედ უთქვამს სულთანისთვის, რომ არა მგონია სომეხთა პატრიარქი დაგთანხმდეთ მაგ წინადადებაზედ, რადგანაც სომხების ეპისკოპოსები აქამდისაც კანონისამებრ იქცეოდნენ. და თუ მათ მოსცეს ზემოხსენებული ხელწერილი, ეს იმას უდრის, რომ ისინი დამნაშავეთა რაცხვენ თავს. ამისთვის მე მოვალედა ვსთვლი თავს, გირჩიოთ გაანთავისუფლოთ ციხეში დამწყვდეულნი და არ მოსთხოვოთ ზემოხსენებული თანხმობა, რადგანაც წინააღმდეგს შემთხვევაში საქმე მეტისმეტად დაიხლართება.

---

## უცხოეთის წვრილი ამბები.

—

„Petit Journal“-ი იუწყება, რომ პარიზის პოლიციაში თავისის პენსიისათვის გამოცხადდა ქვრივი როსტოვსკაია, რომელიც 112 წლისაა და პოლონეთიდგან არის გადმოსახლებულიო. როსტოვსკაია 1812 წელს თურმე ჯარში იყო და სანოვაგით ვაჭრობდა. აქვს სამხედრო ორდენი. 1831 წელს ეს ქალი დოსტაქარის თანამდებობას ასრულებდა პოლონეთის მეათე პოლკში. ოცს წელიწადზედ მეტია, რაც ანიშაში სცხოვრობს და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობისაგან მცირედი პენსია აქვს დანიშნული. ხნიერების მიუხედავად, როსტოვსკაია სრულიად ჯან-საღია და არც გონების გამჭრიახობა დაუკარგავს. ამ ქალს 15 შვილი ჰყოლია და ახლა-კი მარტოკა დარჩენილა. მისი უკანასკნელი შვილი 80 წლისა მომკვდარა.

—

საფრანგეთის მომავალის 1900 წლის გამოფენის გამართვას 100 მილლიონი ფრანკი სჭირია თურმე.

—

საფრანგეთის ნაციონალურ წიგნთსაცავის დირექციას განუზრახავს „მფრინავი“ წიგნთ-საცავი დააარსოს. ამ წიგნთსაცავიდგან წიგნები მარტო საფრანგეთში-კი არა, საზღვარ-გარეთის მცხოვრებლებსაც მიეცემათ დროებითაო.

—

პეტერბურგში გამოფენილია ერთი საათი, რომელიც შესანიშნავის მეხანიზმისაა. ეს საათი გააკეთებინა კარლ ბრაუნშვეინგელმა ამ საუკუნის ნახევარში. საათს აქვს 95 ციფერბლატი, მათზედ აღნიშნულია მზის მიმოქცევა, საუკუნო კალენდარები იულიანისა, სომეხ გრიგორიანთა, ებრაელთა, მუსულმანთა, დრო მზის ამოსვლისა და ჩასვლისა, მთვარის მიმოქცევა, ზადიკის ნიშნები, მერიდიანზედ გავლა ორმოც-და-ათის უმთავრესის ვარსკვლავისა; საათი, წამი დღისა, ღამისა, ოც-და-ათ სხვა და-სხვა ადგილისა. ამ საათს აქვს 17,000 თვალი, ოც-და-ექვსი მოსამართი. ზოგი ციფერბლატი იმართება ორს კვირაში და ზოგიც ოთხს წელიწადში ერთხელ. ამ საათის გაწყობას ორი წელიწადი მოუნდნენ თურმე.

---

## გასართობი

—

ახალ-გაზდა უმაწვილი კაცი, რომელსაც ტფილისში ქუჩის ტკეპნა მოსწყინდა, ახლა სოფელში წაბრძანდა სათარეშოდ. აქ მას რაღაცაზედ გლეხთან ჩხუბი მოუხდა, რისთვისაც მამასახლისმა მიიხმო სოფლის სამსჯავროში და სამის დღით დაპატიმრება მიუსაჯა. უმაწვილმა კაცმა ეს იწყინა და ასე შეეკითხა სოფლის „ტეტია მამასახლისს“:

— რომელის მუხლის ძალით გარდამიწყვიტე ეგ სასჯელი?

მამასახლისს ეგონა მისს საკუთარს მუხლზედ ეკითხებოდნენ და რომ ეჩვენებინა, რომელი მუხლის ძალით გარდაუწყვიტა, დაიკრა მარჯვენა მუხლზედ ხელი და უთხრა:

— აი, ამ მუხლის ძალითო და მართლაც იმავე მუხლის ძალით შეაგდო დამნაშავე სოფლის საპატიმროში.

---

## თეატრის მატიანე.

—

10 აპრილს მცირე რუსთა დასმა წარმოადგინა ხუთ-მოქმედებიანი კომედია იანჩუკისა „პილიპ მუზიკა“. შინაარსი კომედიისა მცირე რუსთა ცხოვრებიდამ არის ამოღებული პიესა ხალისიანია, ბევრი სხვა-და სხვა სიმღერა და ცეკვა მოსდევს მას და ამის გამო საზოგადოება მთელი საღამო მხიარული იყო.

თეატრის მოყვარული.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 აპრილი.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა, რომ გრაფი პეტრე კაპნისტი ელჩად დაინიშნა ვენაში.

„სიბ ოტეჩესტვას“ გაუგონია, რომ ფინანსთა სამინისტროს გარდაუწყვეტია მომავალს წელს სამრევლო სასწავლებლებისათვის გადადებულ თანხას კიდევ 3.500,000 მ. მიემატოს.

**კრონშტადტი.** გამოცხადდა, რომ ჯავშნიანი ხომალდი „იმპერატორ ალექსანდრ ვტოროი“, სამხედრო ხომალდი „რიურიკი“ და გემი „გროზიაშჩი“ კილში წავიდნენ, ჩრდილო არხის გახსნაზედ დასასწრებლადაო.

**ხარკოვი.** გაზ. „გორნ. ზავ. ლის.“-ი იუწყება, რომ დონის ოლქში ოქროს მადანი გამოჩნდაო.

**ლონდონი.** მეკკაში ხოლერა გაჩნდა.

---

## „ივერიის“ ფოსტა.

—

**კიევი. ვ. წ—ს:** თქვენი წერილი „წკიპურტი“ არ დაიბეჭდება.

---

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სიროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, მართველთა და ქართველთა წიგნის მაღაზიებში, ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში,

# საქართველოს ისტორია

შედგენილი და შევსებული მოსე ზ. ჯანაშვილის მიერ. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ფასი 70 კაპ.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი:

## ცოდვა სიყვარულისა.

(Crime d' amour)

რომანი პოლ ბურჟესი, თარგმნილი გრ. ყიფშიძის-მიერ. ფასი 70 კაპ.

—

მზადდება დასაბეჭდად მის-მიერვე თარგმნილი წვრილ-წვრილი მოთხრობანი ევროპის საუკეთესო ბელლეტრისტებისა: ალფ. დოდესი, გიუ დე-მოპასანისა, კატულ მენდესისა, ალექ. კილანდისა, მატილ. სერაოსი, ვიტტარიო ბერსეციოსი, ჯონ ვერგისა, ედმონდ დე-ამიჩისისა და სხვათა სიტყვა-კაზმულის მწერლობის ხელოვან ოსტატთა.

(5—5)

---

ქ. ფოთში

თელოფილაქტოვის კანტორაში

ისყიდება

## მარსელიის კრამიტი

უპირველესის ხარისხისა

(5—1152—3)

---

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გად ხდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

**კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა, ბ. მ. მირიმანიანისა,**

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—1819—10)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

## წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |


Дозвено цензурою, Тифлисъ 11-го Апрѣля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე